

ქართული ჯადოსნური ზღაპრები, რომელთაც მსგავსება აქვს ჰომეროსის „ოდისეასთან“

(2010)

პროგრამის აღწერა: 2008-2009 წლებში წლებში, ჯადოსნური ზღაპრების კრებულზე მუშაობის პროცესში, გამოიკვეთა ერთი ტიპის ზღაპრები, რომლებსაც სიუჟეტური მსგავსება აქვთ “ოდისეასთან”. ამ ტიპის ზღაპრებში გმირი, რომლის სახელიც, ბუნებრივია, უცნობია, ხვდება ისეთ მთაზე, სადაც ცხოვრობს დევი, რომელიც მწყემსია. ამ დევს თვალს ამოთხრის ზღაპრის გმირი. ამის შემდეგ ანტაგონისტი მიემართება სხვა მხარეში. ამ სიუჟეტს შესაძლოა, სხვადასხვანაირი მიმდინარეობა ახასიათებდეს.

პროგრამის განხორციელების გზები: მოხდება ამ ტიპის ზღაპრების შეგროვება. როგორც შემსრულებელი შეეცდება დავადგინოს, როგორ მოხვდა ამ ტიპის ზღაპარი ქართულ სინამდვილეში, ნასესხებია, ლიტერატურული ნაწარმოების გახალსურებული ვარიანტია თუ ზღაპარია პირველადი და ეყრდნობა სხვა წყაროს, რომელსაც დაესესხა ლიტერატურაც.

პროექტი განხორციელდება რამდენიმე ეტაპად:

1. ზღაპრების შეკრება, დაბეჭდვა-რედაქტირება;
2. კვლევის ჩატარება;
3. პუბლიკაციების მომზადება.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი:

პროექტის შედეგები აისახება პუბლიკაციაში. ამას გარდა, პირველ ეტაპზე მოხდება ფოლკლორის განყოფილებაში მიღებული შედეგების განხილვა ღია სხდომაზე. ამის შემდეგ მოხსენების სახით გატანილ იქნება ლოკალურ კონფერენციაზე.

მოსალოდნელი შედეგები:

გამოქვეყნდება დასრულებული ნაშრომი, რომელშიც გამოკვლეული და დადგენილი იქნება ერთი ტიპის ქართული ჯადოსნური ზღაპრების სიუჟეტის ეტიმოლოგია, მისი შესაძლო კავშირები ანტიკურ ლიტერატურულ ძეგლებთან.

პროგრამის კოორდინატორი: ინდივიდუალური პროგრამის კოორდინატორი და შემსრულებელია ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნესტან რატიანი.

კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში

(სვანური მასალების მიხედვით)

(2010-2011)

პრობლემის აღწერა

კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში საგანგებოდ არავის გამოუკვლევია, მხოლოდ ცალკეული მოსაზრებები და ვარაუდებია გამოთქმული, რომ ამირანი კულტურული გმირის ტიპს განასახიერებს. მან ზეციური ყამრი მოიტაცა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცეცხლის მოტანის ტოფასად არის მიჩნეული. კვლევა-ძიების დღევანდელ ეტაპზე ეს აზრი ისევ გადასახედიია... შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამირანის კულტურული გმირობის დამადასტურებელი ვარიანტები ჯერჯერობით მხოლოდ სვანურ ზეპირსიტყვიერებაშია შემონახული. მათში ამირანი კულტურული გმირის ყველა ნიშან-თვისებებითაა წარმოდგენილი. მან ხოთნურ ძალებს წარსტაცა ცეცხლი, ამოიტანა სამზეოხე და ასწავლა ადამიანებს მისი გამოყენება, მასვე მიეწერება სამკურნალო თუ საკვები მცენარეულობების მოპოვება და მთელი რიგი ფასეულობების დამკვიდრება მიწიერ საუფლოში. იგი ეროვნულ ნიადაგზე ამოზრდილი ზოგადკაცობრიული შინაარსით დატვირთული მარადჟამული გმირია, რომლის მუდმივი საზრუნავია ადამიანთა საცხოვრისის გაწმენდა ბოროტი ძალებისაგან და ცხოვრების ახალი წესის დამყარება. ამ აზრით ქართული ამირანი თავისი მოღვაწეობითა და ქმედებით წარსულთან ერთად თანამედროვეობაცაა და მომავალიც კაცობრიობისათვის. იგი განსაკუთრებით დღევანდელი თვალთახედვითაა საინტერესო მოვლენა, ვინაიდან მასში ადამიანზე ზრუნვა, ადამიანთა ცხოვრების გაკეთილშობილებაა უმთავრესი და წამყვანია. ასე რომ ამირანში ყველა დროისა და ეპოქებისათვის დამახასიათებელი საჭირობოროტო პრობლემებია წინა პლანზე წამოწეული. იგი ასეთად დარჩება მომავალი თაობებისათვისაც.

პროექტის მიზანია – ქართული (სვანური) ამირანის ვარიანტების სრული სახით შესწავლა, ტექსტების ურთიერთშეჯერება და უმთავრესი სტრუქტურული კომპონენტების წარმოჩენა, ასევე მითოსური ნაკადებისა.

მოსალოდნელი შედეგები

ჩვენი პროექტი, რომელიც სამ წელზეა გათვლილი შემდეგ მოსამზადებელ ეტაპებს მოიცავს: ამირანის დიდძალი მეცნიერული ლიტერატურა მოგვეპოვება, ამიტომ 2010 წლის ბოლოსთვის დაიწერება გამოკვლევა: „ამირანის კვლევის მოკლე ისტორია“.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

პროგრამის მიმდინარეობის შეფასება მოხდება განყოფილების სხდომებზე, ასევე ლოკალურ და საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებებით. დაიწერება წერილები და გამოქვეყნდება სამეცნიერო კრებულებში.

მოსალოდნელი შედეგები

2011 წლისთვის მომზადდება მონოგრაფია „კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში (სვანური მასალების მიხედვით)“, წიგნი II (ძირითადი თემების და მოტივების ტოპოლოგია: იდეურ-მხატვრული სამყარო, ჟანრული თავისებურება).

პროექტის კოორდინატორი – პროექტი ინდივიდუალურია, მისი კოორდინატორი და შემსარულებელია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ონიანი.

სიმბოლოლოგიის საფუძვლები

(2009-2011წწ.)

- I. 2009 წელი -“მითოლოგიური არქეტიპი და სიმბოლოლოგია“;
- II. 2010 წელი-„რელიგიურ (საკრალურ) სიმბოლოთა ასპექტი და ლიტერატურული ცნობიერება“;
- III. 2011 წელი-„სიმბოლოთა ენის სპექტრი კულტუროლოგიაში“

პროგრამის აღწერა:

სამწლიანი სამეცნიერო თემა „სიმბოლოლოგიის საფუძვლები“ მიზნად ისახავს მისივე შემსრულებლების ავტორობით ახლახანს გამოცემულ „სიმბოლოთა ენციკლოპედიაზე“ და უკვე არსებულ ცალკეულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, პირველად ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, შეიქმნას სიმბოლოლოგიის სისტემატური კურსი, რომელიც მეთოდოლოგიურ საფუძველს გამოუძებნის მთელ ზემოაღნიშნულ მასალას.

განხორციელების გზები:

2009 წელს ჩვენს მიერ შედგენილ იქნა მითოლოგიურ არქეტიპთა დიაპაზონი, მათი ტრანსფორმაცია სხვადასხვა ეთნოკულტურაში და ჩვენს მიზანს შეადგენდა ამ თვალსაზრისით ზოგადი კულტუროლოგიური სპექტრის გამოკვეთა-კვლევა. რაც შეეხება 2010 წელს - (რელიგიურ სიმბოლოთა ასპექტი და ლიტერატურული ცნობიერება, რომელიც სამწლიანი პროგრამის მეორე ეტაპია), კვლევის საგან იქნება საკრალურ (ქრესტომათიულ) სიმბოლოთა ლიტერატურული დიაპაზონის შესწავლა.

სიმბოლოს დაფარული, შეუცნობელი „ღვთიური საზრისი“ მისი არსებობის ფორმაა, რომელიც სრულყოფილ განზოგადებას უკვე ჭეშმარიტ რელიგიურ სიმბოლოდ გარდასახვისას იძლევა.

სიმბოლოთა მთელი წყება (ტაძარი, ჯვარი, სანთელი, შარავანდედი...) ცნობიერებაში მხოლოდ რელიგიური სახისმეტყველებითაა დამკვიდრებული და, ერთგვარად, წაშლილია მათი წინარე ბიოგრაფია. ამგვარ სიმბოლოთათვის საკრალურობა ჭეშმარიტების ამსახველი, აბსოლუტური და უცდომელი ფორმაა, რის გამოც მათი მითოლოგიური არქეტიპები ნაწილობრივ დაჩრდილულია.

ქრესტომათიული რელიგიური სიმბოლოების გარდა საკრალური ასპექტი, როგორც სრულყოფილებისა და ჭეშმარიტების “ზეხატი“ (კონკრეტულ სიმბოლოთა შემთხვევაში მეტნაკლები გამომსახველობით), უმთავრესია სიმბოლოლოგიაში. ეს ფენომენი განსაკუთრებით საინტერესოა ქართულ მწერლობაში, რომელიც ძირითადად, სწორედ ქრისტიანულ ცნობიერებაზეა აღმოცენებული და ფრიად საინტერესოა ქრისტიანული სახისმეტყველების ანუ საკრალური სიმბოლოების ტრანსფორმაცია მხატვრულ სივრცეში.

მოსალოდნელი შედეგი: 2011 წლის ბოლოს გამოიცემა წიგნი "სიმბოლოლოგიის საფუძვლები", რომელიც თეორიული ხასიათის გამოკვლევა იქნება და უკვე არსებულ "სიმბოლოთა ლექსიკონთან" ერთად, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს, სიმბოლოლოგიით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

შედეგის შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები: კვლევის შედეგები, დროდადრო წაკითხული იქნება საერთაშორისო და ლოკალურ სამეცნიერო ფორუმებზე, მისი ცალკეული ნაწილები გამოქვეყდება სტატიების სახით.

პროგრამის კოორდინატორია ფოლკლორის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ზაზა აბზიანიძე

„შუშანიკის წამების“ პრობლემატიკა

(2010-2011)

პრობლემის აღწერა.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილებაში 2008-2009 წლებში მომზადდა ორი სამეცნიერო კრებული: „წმინდა ნინო და ქართლის მოქცევა“ და „გიორგი მთაწმინდელი“, რომლებიც გამოიცემა ინსტიტუტის ახალდაარსებული სერიით – „მეგზური“. 2010 წელს „მეგზურის“ მომდევნო წიგნი დაეთმო ერთი თხზულების პრობლემატიკას. კრებულის საერთო სათაურია „შუშანიკის წამება“.

„შუშანიკის წამება“ ქართული ლიტერატურის გამორჩეული ძეგლია. მას უკავშირდება რიგი საკითხებისა, რომელთა კვლევა ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ყოველ ეტაპზე ინარჩუნებს აქტუალობას. ამ ტექსტს უკავშირდება მრავალი ისტორიული თუ ლიტერატურული ხასიათის პრობლემა, მსოფლმხედველობრივი საკითხები, სახისმეტყველებითი კვლევა თხზულების ქართულ-სომხურ რედაქციათა ურთიერთმიმართება და ა. შ.

წიგნში წარმოდგენილი იქნება როგორც წინარე პერიოდის გამოჩენილ მკვლევართა, ისე თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევები, მათ შორის, ამ გამოკვლევათა მეცნიერული შეფასებებიც, ახლებური გააზრება რიგი საკითხებისა.

აღნიშნული პროექტი ერთწლიანია. 2010 წლის განმავლობაში განყოფილების თანამშრომლები მოამზადებენ სათანადო სამეცნიერო ნაშრომებს, რომელთა წინასწარი განხილვა მოხდება განყოფილების სხდომებზე.

პროგრამის მიზანი და ამოცანები.

2010 წლის ბოლოსთვის დასრულდება კრებულზე – „შუშანიკის წამება“ – მუშაობა და წიგნი მზად იქნება გამოსაცემად. მასში შეძლებისდაგვარად წარმონიშნება თანამედროვე თვალსაზრისები „შუშანიკის წამებასთან“ დაკავშირებულ პრობლემატიკაზე. ეს წიგნი დახმარებას გაუწევს სპეციალისტებსა და სტუდენტებს, ამასთანავე, იქნება გზამკვლევი საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

პროგრამის განხორციელების გზები გულისხმობს „შუშანიკის წამების“ ტექსტის შესწავლას, სამეცნიერო ლიტერატურის ახლებური შეფასებას.

მოსალოდნელი შედეგები.

მთლიანობაში იქნება გააზრებული და წარმოდგენილი იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ პრობლემატიკა, რაც ხელს შეუწყობს ამ უძველესი თხზულების კვლევას თანამედროვე მეცნიერული აზროვნების კონტექსტში და მის პოპულარიზაციას.

შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები.

შედეგების შეფასება მოხდება სამეცნიერო კონფერენციებზე, სესიებზე, პრეზენტაციებზე, ქართული ლიტერატურის განყოფილების სხდომებზე და სხვ.

პროგრამის კოორდინატორია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი მუშაკი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დარეჯან მენაბდე.

პროგრამის კოორდინატორია: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი დარეჯან მენაბდე.

აკაკი წერეთლის პოეტიკა

(2010)

პროგრამის აღწერა:

ნაშრომი შესრულდება ორ ნაწილად. პირველი ნაწილი თეორიული ხასიათისა იქნება. მასში წარმონხდება ტროპის ადგილი და მნიშვნელობა გამომსახველობით საშუალებათა შორის. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა შედარებას, რადგან, როგორც ცნობილია, ყოველ ტროპს შედარება უდევს საფუძვლად და, ამდენად, მისი გამოცალკეება ამა თუ იმ შემოქმედის მხატვრულ აზროვნებაში ყოველმხრივ გამართლებული და აუცილებელიცაა.

აკაკი დიდ მრავალფეროვნებას იჩენს ტროპების გამოყენებისას. ჩვეულებრივ, როცა, მაგალითად, შედარებას მიმართავენ, ტექსტში ჩართულია მაკავშირებელი სიტყვები: ვით, როგორც, ისე, მსგავსად და მისთანანი. აკაკის, რა თქმა უნდა, მრავლად მოეპოვება ამ ტიპის მაგალითები, მაგრამ არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა შედარებები განხორციელებულია მაკავშირებელი სიტყვების გარეშე და ამ დროს ეფექტი, შთაბეჭდილება გაცილებით დიდია. ასეთ შედარებებს, პირობითად, შეფარულს ეძახიან და აკაკი აქაც წარმატებით იყენებს კონტრასტის უძველეს ხაზს. ასევე იქნება განხილული ტროპის სხვა სახეობები.

პროგრამის მიზნები და ამოცანები:

აკაკის პოეტურ ხელოვნებას პროგრამის ავტორები მრავალი წელია იკვლევენ. პროგრამის მიზანია საბოლოო სახით დაასრულოს ვრცელი მონოგრაფია, რომელშიც აკაკი წერეთლის შემოქმედება მთელი სისრულით იქნება შესწავლილი.

განხორციელების გზები:

ნაშრომების წერისას ავტორები დაეყრდნობიან აკაკის თხზულებების აკადემიურ თხუთმეტომეულს, აგრეთვე სხვა მონაცემებს (მაგალითად, „უცნობი აკაკი“), გამოავლენენ აკაკის შემომედებაში გამოყენებულ ტროპის ყველა სახეობას, მათ თავისებურებასა და განსაკუთრებულობას.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები:

ნაშრომის ცალკეული მონაკვეთები წაკითხული იქნება განყოფილების სხდომაზე, გამოთქმული შენიშვნები გათვალისწინებული იქნება მომავალ მუშაობაში.

მოსალოდნელი შედეგები:

გამოკვლევაში ცხადად იქნება ნაჩვენები, რა დიდ ოსტატობას იჩენდა აკაკი ტროპების გამოყენებისას, რაც დღევანდელი პოეზიისთვისაც სამაგალითოა. მონოგრაფია ქმედით დახმარებას გაუწევს როგორც სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ასევე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და პედაგოგებს.

პროგრამის კოორდინატორი:

პროგრამა ინდივიდუალურია, მისი შემსრულებელია ემზარ კვიციანი

თანამედროვე ქართველ მწერალთა ბიბლიოთეკა

(2010-2011 წ.წ.)

პრობლემის აღწერა

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის საკითხები საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი, დღემდე არ არის შექმნილი იმ ტიპის სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული გამოკვლევა, სრულ წარმოდგენას მოგვცემდა XX საუკუნეში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე და ამ პროცესების მონაწილე მწერლებზე. დღევანდელი გადასახედიდან საჭიროა ბევრი დამკვიდრებული მოსაზრების კორექტირება და ახალი მიდგომებისა და მეთოდოლოგიების გამოყენება მათ შესაფასებლად, კულტურულ პროცესებში მათი ადგილისა და როლის განსაზღვრა. ეს პრობლემა არ გადაწყდება ლიტერატურის ისტორიის ჩარჩოებში, რამდენადაც შეუნიშნავი შეიძლება დარჩეს ინდივიდუალური ფასეულობები და ტენდენციები, როგორც პროცესების, ისე პერსონალებისა.

პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროგრამის მიზანია ამ ხარვეზების შევსება და თანამედროვე ქართველ მწერალთა ბიბლიოთეკის შექმნა, თავისებურებებისა და განვითარების ტენდენციების მონიშვნა, იმ როლის გამოკვეთა, რომელიც მათ შეასრულეს საერთო ლიტერატურული პროცესის განვითარების, ფორმალური და სტილისტური სიახლეების დანერგვის და მხატვრული ენის სრულყოფის, დახვეწის საქმეში.

პროგრამის განხორციელების გზები

ბიბლიოთეკის სუბიექტები იქნებიან, უპირატესად, XX საუკუნის II ნახევრის მწერლები: ანა კალანდაძე, მურმან ლეპანიძე, მუსხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური, ნოდარ დუმბაძე, გურამ გეგეშიძე, გურამ დოჩანაშვილი, რეზო ტყეშელაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ნაირა გელაშვილი, გოდერძი ჩოხელი, 80-იანი წლების სხვა, ნაკლებად შესწავლილი მწერლები.

პროექტი ორწლიანია. 2010 წელს მომზადდება ნარკვევები თითოეული მწერლის შემოქმედების შესახებ. მოხდება მათი საბოლოო რედაქტირება. ნარკვევები გამოიცემა ცალ-ცალკე წიგნაკებად და გამოთლიანდება ერთ კონცეპტუალურ ჩარჩოში, დაისტამბება მყარი, დადგენილი პერიოდულობით.

მოსალოდნელი შედეგები

წიგნები დაეხმარება პედაგოგებს, სტუდენტებს, მაგისტრებსა და დოქტორანტებს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების მიმართ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებაში, ცალკეული ნაწარმოების მიღმა არსებული მხატვრული ფენის, კონტექსტის, სახეთა სისტემის გათვალისწინებაში.

შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები

შედეგების შეფასება მოხდება სამეცნიერო კონფერენციებზე, სესიებზე, პრეზენტაციებზე, ქართული ლიტერატურის განყოფილების სხდომებზე და სხვ.

პროგრამის კოორდინატორი: პროექტის კოორდინატორია მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი მანანა კვაჭანტირაძე.

სოლომონ ბრძენის სიბრძნისმეტყველების მეტაფორულობა

(2010)

პროექტის აღწერა:

სოლომონ ბრძენზე შექმნილ ხალხურ პროზაულ ნაწარმოებებს ახასიათებთ რიტუალთან მჭიდრო კავშირი, დროის ციკლურობა, საგანთა და მოვლენათა სიმბოლური ბუნება და უმთავრესი – სიბრძნისმეტყველების მეტაფორულობა.

საინტერესო იქნება კვლევა ნაწარმოებებში არსებული ფოლკლორული და ეთნიკური პლასტებისა, რომლებშიც ცოცხლობს მითოლოგიური მსოფლშეგრძნება. ასევე ადამიანური და ბუნებრივი ყოფის არქეტიპულ კონსტანტებზე – სახლი, პური, გზა, კერა, ბავშვობა, სიბერე, სიყვარული და ა.შ. - ორიენტირებული ფილოსოფიური სიბრძნისმეტყველება.

პროექტის მიზანი:

გაანალიზება, როგორც სოლომონ ბრძენის სახის ნაირგვარობის, მისი სიბრძნისმეტყველების მეტაფორულობის, ასევე მითოსური სახის მქონე სხვა არაერთი პერსონაჟისა (ზღვის ქალი, ზღვის კაცი, თევზი, ჭინკა, წყალი, კამეჩი ...) ამ სიუჟეტის მქონე ხალხურ ნაწარმოებებში.

განხორციელების გზები:

კვლევა განხორციელდება, როგორც გამოქვეყნებული, ასევე ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი მასალის საფუძველზე.

განხილული იქნება სოლომონ ბრძენზე შექმნილ ხალხურ ნაწარმოებებში არსებულ საგანთა და მოვლენათა სიმბოლური ბუნება, სოლომონ ბრძენის სიბრძნისმეტყველების ფილოსოფიურობა და მეტაფორულობა.

მოსალოდნელი შედეგი:

სოლომონ ბრძენის სახის ნაირგვარობის, მისი სიბრძნისმეტყველების მეტაფორულობის და ფილოსოფიურობის გაანალიზება მითოსური სახის მქონე სხვა პერსონაჟებთან ერთად.

შედეგის შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები:

მოსხენების სახით წავიკითხავ განყოფილების სხდომაზე.

გამოვაქვეყნებ წერილის სახით.

პროგრამის კოორდინატორი:

პროექტი ინდივიდუალურია, მისი კოორდინატორ-შემსრულებელია ირმა ყველაშვილი.

კომპარატივისტიკის ანთოლოგიის მომზადება

(2010)

პრობლემის აღწერა: პროექტი “კომპარატივისტიკის ანთოლოგიის მომზადება” ითვალისწინებს თანამედროვე კომპარატივისტიკის ქრესტომათიული ნაშრომების თარგმნას უცხო ენებიდან ქართულად.

პროგრამის მიზანი: აღნიშნული ანთოლოგია იქნება პირველი ამ სფეროში და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს არამარტო ჰუმანიტარული პროფილის სტუდენტებს, არამედ სპეციალისტებსაც.

პროგრამის ამოცანები: პროექტი “კომპარატივისტიკის ანთოლოგიის მომზადება” გულისხმობს ევროპული ენებიდან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ქრესტომათიული მნიშვნელობის ტექსტების თარგმნას.

განხორციელების გზები: პროექტში ჩართული იქნება მკვლევართა 10-კაციანი ჯგუფი, რომელიც კომპარატივისტიკის დარგში შექმნილ უცხოენოვან ტექსტებს თარგმნის.

მოსალოდნელი შედეგები: თარგმნილი ტექსტები ანთოლოგიის სახით გამოიცემა და ის მნიშვნელოვნად დაეხმარება ჰუმანიტარული დარგის სტუდენტებს და სპეციალისტებს.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები: პროექტში მონაწილეობას მიიღებს 10 ლიტერატურათმცოდნე. მუშაობის შედეგების განხილვა ერთი წლის განმავლობაში, ყოველ სამ თვეში ერთხელ გაიმართება.

პროგრამის კოორდინატორი: ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი გაგა ლომიძე

გრიგოლ რობაქიძე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი და თეორეტიკოსი
(2010)

პროგრამის აღწერა: გრიგოლ რობაქიძე ქართული მოდერნიზმის მეტრი და, ამავე დროს, ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, ანალიტიკოსი და თეორეტიკოსი იყო. მისი ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე შექმნილი თხზულებები საყურადღებო მასალას გეთავაზობს როგორც ჩვენი, ისე უცხოელი მწერლების შემოქმედების ირგვლივ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული და ნაკლებად შესწავლილია რობაქიძის რუსულენოვანი ესეისტიკა და პუბლიცისტიკა. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მწერლის ის თეორიული წერილები, რომლებიც მისი დროის მსოფლიოს და ევროპის ლიტერატურულ პროცესებსა და მიმდინარეობებს ეძღვნება.

მიზანი და ამოცანები: ჩვენი კვლევის მიზანია გრ. რობაქიძის ქართულ, რუსულ და გერმანულენოვან შემოქმედებაში გამოვავლინოთ და გავაანალიზოთ მისი ის ძირითადი თხზულებები, სადაც ერთი მხრივ, განხილული და შეფასებულია ქართველი თუ უცხოელი მწერლების ნააზრევი, მეორე მხრივ, წარმოდგენილია გრიგოლ რობაქიძე, როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსი. კვლევისას გამოვიყენებთ ჰერმენევტულ და, ნაწილობრივ, ინტეგრალურ მეთოდებს.

განხორციელების გზები: საკვლევი მასალის სრულად გამოვლენის მიზნით გავეცნობით მწერლის სამენოვან შემოქმედებას, ცალკეულ გამოცემებს, პრესაში გამოქვეყნებულ თუ საარქივო მასალებს, ინტერნეტში განთავსებულ ტექსტებს. ასევე, იმ სამეცნიერო გამოკვლევებს, რომლებიც აღნიშნულ თემატიკას ეძღვნება.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი: პროექტის შედეგები ასახული იქნება განყოფილების თუ საინსტიტუტო სამეცნიერო სხდომებზე წაკითხულ მოხსენებებში, ცალკეულ სამეცნიერო პუბლიკაციებში.

მოსალოდნელი შედეგები: პროექტის შესრულების შემთხვევაში წარმოდგება გრიგოლ რობაქიძის, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსისა და თეორეტიკოსის, შექმნილი დაგვარად სრული პორტრეტი, რაც მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მხარეა.

პროგრამის კოორდინატორი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მანანა კვატაია.

კრებულის “ლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსი. თანამედროვე კვლევები”
რედაქტირება

(2010)

პრობლემის აღწერა: პროექტი “კრებულის “ლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსი. თანამედროვე კვლევები” რედაქტირება” ითვალისწინებს ინსტიტუტის მიერ, ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ტერმინების შესახებ მომზადებული სტატიების რედაქტირებას ერთ წიგნად გამოსაცემად. მომზადებული ნაშრომები რვეულების სახით უკვე გამოვიდა, მაგრამ ერთი კრებულის სახით გამოსაცემად საჭიროა ნაშრომების სტატიებად გარდაქმნა და ამისთვის აუცილებელია რედაქტირების პროცესი.

პროგრამის მიზანი: აღნიშნული გამოცემა იქნება ბოლო ათეული წლების მანძილზე პირველი კრებული, სადაც განხილული იქნება ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ტერმინები. კრებული დიდ დახმარებას გაუწევს არამარტო ჰუმანიტარული დარგის სტუდენტებს, არამედ სპეციალისტებსაც.

ამოცანები: პროექტი “კრებულის “ლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსი. თანამედროვე კვლევები” რედაქტირება” ითვალისწინებს ინსტიტუტის მიერ ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ტერმინების შესახებ მომზადებული სტატიების ერთ წიგნად გამოცემისთვის რედაქტირებას.

პროგრამის განხორციელების გზები: პროექტში ჩართული იქნება მკვლევართა 6-კაციანი ჯგუფი, რომელიც რედაქტირებას გაუწევს მომზადებულ ნაშრომებს იმისთვის, რომ ის კრებულის სახით გამოვიდეს.

მოსალოდნელი შედეგები: ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ტერმინების შესახებ ანალიტიკური სტატიების რედაქტირების შედეგად, მზად იქნება კრებული, რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება ჰუმანიტარული დარგის სტუდენტებს და სპეციალისტებს.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები: პროექტში მონაწილეობას მიიღებს 6 ლიტერატურათმცოდნე. მუშაობის შედეგების განხილვა ერთი წლის განმავლობაში, ყოველ სამ თვეში ერთხელ გაიმართება.

პროექტის კოორდინატორი: პროგრამის კოორდინატორია ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი გაგა ლომიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ცნებათმეტყველებანი და სახისმეტყველებანი

(2010-2011)

პროექტის ზოგადი დახასიათება, თემის აქტუალობა და კვლევის სიახლე:

რუსთველოლოგიური კვლევების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო აქტუალური ხდება სოციოკულტურული ადაპტირების საკითხი, ამიტომ აუცილებელია ახალი ხედვის, ახალი მიმართულებების, ახალი მიდგომების განსაზღვრა, რათა ხელი შევუწყოთ „ვეფხისტყაოსნის“ კულტურული შინაარსის დაბრუნებას საზოგადოებრივი ინტერესების სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მუშაობა მრავალი მიმართულებით. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია ცნებათმეტყველებითი ბაზის შექმნა.

უნდა განხორციელდეს „ვეფხისტყაოსნის“ როგორც ფუნდამენტური, ისე რიგითი ტერმინების კვლევა, რომლის შედეგები თავს მოიყრის ერთიან კონცეფციურ სისტემაში, ამასთანავე მოხდება მრავალფეროვანი და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციების დაახლოება-შეჯერება; დაიხვეწება და დაზუსტდება ტრადიციული დეფინიციები. კვლევა მოიცავს ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორებიცაა ესთეტიკური, ფილოსოფიური, თეოლოგიური, ლიტერატურისმცოდნეობითი, ლინგვისტური, ისტორიული, პოლიტიკური, იურიდიული, სოციალური და სხვა საკითხები.

პროექტის მიზანი

ა) პროექტით გათვალისწინებულია შეიქმნას ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ამოკრეფილი ცნებათმეტყველებითი და სახისმეტყველებითი რუსთველისეულ სიტყვახმარებათა შემცველი სტრიქონები.

ბ) ნაშრომში შესული „ბუდეები“ წარმოდგენილი იქნება თემატურად.

გ) სხვადასხვა „ბუდეში“ განთავსებული მასალა ერთმანეთს „გადაკვეთს“; მაგალითად: „მზე“ წარმოდგენილი იქნება პერსონაჟთა მეტაფორად, მაგრამ ის შევა შესაბამის „ბუდეებში“ როგორც საღვთო სიმბოლო, ამიტომ ნაშრომს უნდა დაერთოს სტროფთა საძიებელი, რომელიც გვიჩვენებს სათანადო სტროფებს და ტაეპებს, რომლებშიც მეორდება სიტყვახმარებანი.

დ) მასალათა ამოსაწერად გამოყენებული იქნება „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ ერთი რედაქცია:

„ვეფხისტყაოსანი“, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966 წ.

ე) ნაშრომში გათვალისწინებული იქნება ლექსიკოლოგიური განმარტებანი (ა. შანიძის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, ტექსტოლოგიური განმარტებანი „ვეფხისტყაოსნის“ ნ. ნათაძისეული გამოცემიდან, ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“ და სხვ.).

ვ) გასათვალისწინებელია რუსთველოლოგიის ტრადიციული და თანამედროვე პრობლემატიკა, აგრეთვე უახლეს თეორიულ ლიტერატურათმცოდნეობაში წარმოდგენილი ცნებათმეტყველებანი და მეთოდები (ქართულიც და უცხოურიც).

ზ) გათვალისწინებული იქნება თანამედროვე მსგავსი გამოცემები და რუსთველოლოგიურ სამეცნიერო კრებულებში წარმოდგენილი სისტემატიზაცია (გ. იმედაშვილისა და სხვათა).

თ) მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, „ბუდეებში“ არ შევა მოხმობილი ტექსტების რუსთველოლოგიური ან სხვა სახის სამეცნიერო განმარტებანი. წარმოდგენილი იქნება მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები (ან სტროფები), მთავარ სიტყვათა ხაზგასმით.

ი) გამონაკლისის სახით ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება შევიდეს ამა თუ იმ სიტყვის ლექსიკური განმარტება სათანადო ლიტერატურის მითითებით; მაგალითად, პოემის პირველი სტრიქონიდან (ან – სხვა ადგილიდანაც) რუსთველური სიტყვახმარებისას – „სამყარო“: უმაღლესი ზეცა. გამონაკლისის სახით ცალკეულ შემთხვევაში დაერთვის მითითებანი, თუ რა ადგილასაა პოემაში ჩვენ მიერ მოხმობილი სტრიქონები.

კ) ნაშრომი ვერ დაისახავს მიზნად მთლიანად ამოწუროს თავისი მიზანდასახულობანი, მაგრამ იგი უთუოდ ხელს შეუწყობს მომავალ რუსთველოლოგიურ ძიებებს და, საერთოდ, გააადვილებს ტექსტის უკეთ აღქმას.

ლ) ნაშრომი გამოადგება სპეციალისტ-ლიტერატურათმცოდნეებს, უმაღლეს სასწავლებლებს, საშუალო სკოლას და ფართო მკითხველსაც.

პროექტის თემატიკა

1. ა) „ვეფხისტყაოსნის“ საღვთისმეტყველო სიტყვახმარებანი;
ბ) ფილოსოფიური ცნებათმეტყველებანი
2. ა) პოეტიკურ-ესთეტიკური ცნებათმეტყველებანი
ბ) „ენის“ ცნება რუსთველურ კონტექსტში
გ) „სახე“
დ) „ხატი“; „ქართული“ (ენა)
3. ა) რუსთველური ცნობები (მეტაფორა, სიმბოლო და სხვანი)
ბ) პარადიგმული სახეები
გ) ტარიელი
დ) ნესტანი
ე) ციური მნათობები
4. ა) მიჯნურობა
გ) რაინდობა
დ) ავთანდილი
ე) ფატმანი
5. ა) მითოსურ-ფოლკლორული კონტექსტები
ბ) ქაჯეთი, დევთა ადგილები, დავარი და სხვანი
გ) დულარდუხტი
დ) როშაქი (

6. პერსონაჟები:

- ა) როსტევეანი
- ბ) ფრიდონი
- გ) სარიდანი
- დ) ფარსადანი
- ე) რამაზი

7. ა) ბუნება

ბ) ასმათი

გ) ნაშრომს დაერთვის გადამუშავებული სახით ა. შანიძის „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაში წარმოდგენილი საკუთარი სახელები, A. პირთა სახელები, გვ. 415-425, B. გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები, გვ. 426-428)

დ) ნაშრომის კორექტურა

შესრულების ეტაპები

I ეტაპი

ა) პროექტით წარმოდგენილი გეგმის საბოლოო განხილვა, კორექციები.

ბ) ძირითადი მასალის ამოწერა.

II ეტაპი

ა) ამოწერილი მასალის რედაქტირება.

ბ) „ბუდეების“ შეჯერება.

გ) ნაშრომის სრტუქტურული სახის ჩამოყალიბება-რედაქტირება.

დ) ნაშრომის ელექტრონული ვერსიის შექმნა.

პროექტით გათვალისწინებული ნაშრომი დასრულდება 2011 წლის დეკემბერში. იგი შექმნის საფუძველს შემდგომი მუშაობისათვის, კერძოდ, რათა შედგეს სრული კრებული, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სიტყვარი „ვეფხისტყაოსნის“ ცნებათმეტყველებისა.

პროექტის კოორდინატორი – რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ივანე ამირხანაშვილი

პროექტის ავტორი და რედაქტორი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი რევაზ სირაძე

(2010)

პრობლემის აღწერა:

ჩვენ კაცობრიობის ისტორიის ახალი მეტამორფოზის ფაზაში შევედით, როდესაც ძალადობაზე დამყარებული რადიკალური ტრანსფორმაციები ახალთაობის რადიკალიზმმა შეცვალა. ინფორმაციული ტექნოლოგიები, ცნობიერების მანიპულირებისა და მასობრივი პროპაგანდის მეთოდები მთავარ როლს ასრულებს რევოლუციურ ტექნოლოგიებში, რაც, თავის მხრივ, მედიის ფუნქციონირებაზეც აისახება (ვგულისხმობთ მის ტრანსპარანტულობას, ანგარიშვალდებულებას, დიალოგურობასა და თანამონაწილეობის ფუნქციას) და მნიშვნელოვნად ცვლის მის როლსა და მნიშვნელობას. საზოგადოებისთვის ფორუმის შემთავაზებლისა და მეთვალყურის ფუნქციის აღმსრულებლის ნაცვლად დღეს მედიის ინსტრუმენტალიზაციის მოწმენი ვხდებით.

თანამედროვე პოლიტექნოლოგიათა ზემოქმედებით იცვლება კულტურული ფასეულობები და წეს-ჩვეულებები. ამ ჭრილში განვიხილავთ პრობლემურ თემატიკას: ჟურნალიზმისა და პოლიტიკური კომუნიკაციების ურთიერთობის ფორმებს დემოკრატიზაციის ბოლოდროინდელ პროცესებში; საერთაშორისო მედიის ე.წ. “დემონსტრირების ეფექტის” მნიშვნელობას; პრესის თავისუფლების ინტერპრეტაციის ფორმებს ახალ დემოკრატიებში, ჰაბერმასისეული რაციონალური დისკურსისა და მაკქუელის მედიის ნორმატიული თეორიის კონტექსტში.

საკითხი შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით ვიკვლიეთ: 1) მასმედიის გავლენის ზრდა კულტურულ პროცესებზე; 2) თანამედროვე ინტელექტუალურ-ინფორმაციული პოლიტიკა მასკომუნიკაციისა და კულტუროლოგიის თეორიათა კონტექსტში; 3) პოლიტიკური ძალაუფლებისა და ინტელექტუალური ჰეგემონიის კონფლიქტის პრობლემა თანამედროვე მწერლის პუბლიცისტიკაში.

პროგრამის მიზანი:

ჩვენი მიზანია დისკუსულად წარმოვაჩინოთ თანამედროვე მედიისა და პოლიტიკური კომუნიკაციების ურთიერთმიმართების პრობლემატიკა. აქედან გამომდინარე, განვსაზღვროთ დემოკრატიზაციის პროცესზე მედიის გავლენის ხარისხი; პოლიტიკურ მედიატექსტზე სიტყვიერი ზემოქმედების ფორმები. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ამ მიმართებით სამწერლო გამოცდილებას ეხება. გამოვავლინოთ საავტორო ჟურნალისტიკის ტენდენციები, ზოგადად, თანამედროვე პოლიტიკური ჟურნალიზმის კრეატიულობა.

პროგრამის ამოცანები

პროექტის ამოცანაა, განვსაზღვროთ დემოკრატიზაციის ეტაპზე წარმოქმნილი დისკურსის თავისებურებები და მასთან მიმართებაში მასმედიის, როგორც თანამედროვე პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტის როლი და მნიშვნელობა. ამ კუთხით ვითვალისწინებთ სამწერლო მედია გამოცდილებას, როგორც ვირტუალური სოციოკულტურული რეალობის ტირაჟირებით მოტივირებული მედიაგამოსვლების ალტერნატივას. თანამედროვე მწერალი სულ უფრო აქტიურად მიმართავს პოლიტიკური ჟურნალისტიკის იმგვარ ფორმებს, რომლებშიც მხატვრული ელემენტები

დეტერმინებულია თვით პუბლიცისტური დისკურსის გაშლის ლოგიკით. სამწერლო მედიაგამოცდილება გვინტერესებს არა როგორც მხოლოდ გარკვეული ტენდენცია ლიტერატურულ პროცესში, არამედ როგორც ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების მნიშვნელოვანი მხარე, - მწერლური პუბლიცისტიკა და პუბლიცისტურობა მხატვრულ პროზაში.

პროგრამის განხორციელების გზები:

პროექტის განხორციელება შესაძლებელია საავტორო ჟურნალიზმის გამორჩეულ ნიმუშთა მოხმობა-ანალიზის საფუძველზე, რომლებიც მეტი სრულყოფილებით ასახავს, როგორც თანამედროვე მედიაკლიმატს, ასევე მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესს. მასზე დაკვირვებითა და ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში განხილვით საკითხს სიღრმისეულად წარმოვანხნთ. კვლევის ემპირიულ ბაზად მოვიაზრებთ ამ მიმართებით დასავლური მეცნიერული აზრის უახლეს მიღწევებს. მათ შორის, კულტუროლოგიურ, პოლიტოლოგიურ, კომუნიკოლოგიურ და ახალთაობის სხვა ჰუმანიტარულ დისციპლინათა კვლევებს, ფილოსოფიურ ნააზრევს (მაგ., ჯონ სტიუარტ მილის, ანტონიო გრამშის, იურგენ ჰაბერმასის, ჰერბერტ მარკუზეს, რობერტ ალან დალის, უმბერტო ეკოს, მიხაილ ბახტინის, პიერ ბურდიეს, ენტონი სმიტის, ზიგმუნდ ბუხინსკისა და სხვა ცნობილ მკვლევართა ნაშრომებს).

მოსალოდნელი შედეგები:

მედიის პოლიტიკური ფუნქციების განსაზღვრისას, მოსალოდნელ შედეგთაგან ყველაზე თვალსაჩინოდ გვესახება მედიის ინსტრუმენტალიზაციის ტენდენცია; ილუზორული, კონსტრუირებული რეალობის შექმნის მიზნით საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მისი მანიპულირების უნარი. შესაბამისად, აქცენტირებას ვაკეთებთ თანადროულობის მაკრიტიკებელი მწერლური მედია გამოსვლების მამხილებელ პათოსზე, აქედან გამომდინარე საგულისხმო დასკვნებით.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები:

მონიტორინგი ხორციელდება სამ თვეში ერთხელ, საინსტიტუტო სემინარზე, სადაც წაკითხული იქნება მოხსენება კვლევითი სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ. ნაშრომის მიმართ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, კვლევა-ძიების დასრულების შემდეგ, განსახილველად წარმოვადგენთ პროგრამის საბოლოო ვარიანტს.

პროგრამის კოორდინატორი:

პროგრამა ხორციელდება ინდივიდუალურად. პროგრამის კოორდინატორია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა შამილიშვილი.

ლიტერატურის თეორია. პრაქტიკული კვლევები

(2010)

პრობლემის აღწერა: პროექტი “ლიტერატურის თეორია. პრაქტიკული კვლევები” ითვალისწინებს ინსტიტუტის მიერ გამოცემული კრებულის “ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობებისთვის” დამხმარე კრებულის გამოცემას. მასში შევა ზემოხსენებულ კრებულში განხილული თეორიების თვალსაზრისით ქართული ლიტერატურის კლასიკური ტექსტების ანალიზის ნიმუშები. მაგალითისთვის, რუსული ფორმალიზმის თუ პრადის სტრუქტურალისტთა ანალიზის მეთოდის მიხედვით იქნება განხილული ნიკოლოზ ბარათაშვილის თუ ილია ჭავჭავაძის მხატვრული ტექსტები.

პროექტის მიზანი: სტუდენტებს დიდ დახმარებას გაუწევს აღნიშნული გზამკვლევი, ვინაიდან მასში ილუსტრირებული იქნება კვლევის მეთოდის პრაქტიკული გამოყენება. ამგვარი ანალიზის ნიმუში სტუდენტს კვლევის ამა თუ იმ მეთოდში ორიენტირებაში დაეხმარება.

პროექტის ამოცანები: პროექტი “ლიტერატურის თეორია. პრაქტიკული კვლევები” ითვალისწინებს კრებულისთვის “ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები” პრაქტიკული გზამკვლევის შექმნას.

მოსალოდნელი შედეგები: შესრულებული ნაშრომები – კონკრეტული ქართული ტექსტების დასავლური თეორიების მიხედვით ანალიზი ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს ამა თუ იმ ნაშრომში წარმოდგენილი კონცეპტუალური ტერმინების ათვისებასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში დაეხმარება.

შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები: პროექტში მონაწილეობას მიიღებს 8 ლიტერატურათმცოდნე. მუშაობის შედეგების განხილვა ერთი წლის განმავლობაში, ყოველ სამ თვეში ერთხელ გაიმართება.

პროექტის კოორდინატორი: გაგა ლომიძე

აკაკი წერეთლის რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია

(2009-2010)

პრობლემის აღწერა

აკაკი წერეთლის შემოქმედების კვლევას მრავალი მონოგრაფია და ასობით სტატია ეძღვნება. არათუ რიგითი მკითხველისათვის, სპეციალისტებისთვისაც კი შეუძლებელი ხდება თითოეული მათგანის გაცნობა. ამიტომ მნიშვნელოვანია კვალიფიციურ მკვლევართა მიერ ანოტირებული ბიბლიოგრაფიების შედგენა და გამოცემა. 2007 წელს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულში დაბეჭდა „ილია ჭავჭავაძის რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია“ და სასურველია, რომ აკაკი წერეთლის საიუბილეო წელს მომზადდეს მისი თხზულებების რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფიაც.

მიზანი და ამოცანები

პროექტის მიზანია მეგზურობა გაუწიოს მკვლევრებს, სტუდენტებს, მოსწავლეებსა და აკაკი წერეთლის შემოქმედებით დაინტერესებულ რიგით მკითხველებს ქართველი კლასიკოსის ნაწერებსა და მისი თხზულებების შესახებ შექმნილ კრიტიკულ ლიტერატურაში.

განხორციელების გზები

1. შედგება მწერლის თხზულებათა გამოცემების და მის შემოქმედებაზე შექმნილი გამოკვლევების ნუსხა.
2. ამ ნუსხიდან შეირჩევა პროექტზე მომუშავე ჯგუფისა და კონსულტანტების აზრით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოცემები, მონოგრაფიები, კრებულები და ცალკეული სტატიები.
3. დამუშავდება ტექსტები და შედგება ანოტაციები.
4. რედაქტირება გავუკეთდება ანოტაციებს და მომზადდება გამოსაცემად.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი

1. შედგენილი ნუსხის სისრულე.
2. შერჩეული მასალის ხარისხი.
3. ანოტაციების ლაკონურობა და ინფორმაციულობა.
4. მასალის ორგანიზება.

მოსალოდნელი შედეგები

ქართველი მკითხველი მიიღებს ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას, რომელიც კარგ მეგზურობას გაუწევს აკაკი წერეთლის ნაწერებსა და მათ შესახებ შექმნილ კრიტიკულ ლიტერატურაში.

პროგრამის კოორდინატორი

ტექსტოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი ნანა ფრუიძე.

პრობლემის აღწერა

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა შეივსება ახალი მასალით, საქმიანი ქაღალდების ტომი ცალკე გამოიყოფა და დამატების სახით მოჰყვება აკადემიურ გამოცემას.

მიზანი და ამოცანები

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის სასტამბოდ მომზადების დასრულება.

განხორციელების გზები

1. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილებიდან ილია ჭავჭავაძის პირად ფონდში დაცულ წიგნებზე არსებულ მინაწერების აღნუსხვა-გადმოწერა და XIX ტომში ჩასამატებლად მომზადება.
2. XX ტომის სასტამბოდ მომზადების დასრულება.
3. საქმიანი ქაღალდების დამატებითი ტომის გამოსაცემად მომზადება.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი

1. გამოსაცემად მომზადებული XIX, XX და საქმიანი ქაღალდების დამატებითი ტომი.
2. ტომების სამეცნიერო აპარატის სისრულე და ხარისხი.

მოსალოდნელი შედეგები

დასრულდება შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი - „ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური მრავალტომეულის“ გამოსაცემად მომზადება.

პროგრამის კოორდინატორი

პროგრამის კოორდინატორია ტექსტოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი მაია ნინიძე.

უცხოენოვანი ტექსტოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი

ნაშრომების თარგმანები

(2010)

პრობლემის აღწერა

ტექსტოლოგია ფილოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია და აუცილებელია, რომ ქართულ ენაზე არსებობდეს როგორც დარგის ფუნდამენტური ნაშრომები, ისე შემოქმედებითი პროცესის ამსახველი თანამედროვე ტექსტები.

მიზანი და ამოცანები

პროექტის მიზანია ქართულ ენაზე მიაწოდოს მკითხველს ისეთი მნიშვნელოვანი ტექსტები, როგორებიცაა დიმიტრი ლიხაჩოვის „ტექსტოლოგია“ და უმბერტო ეკოს „მინაწერი ვარდის სახელის არშიაზე“.

განხორციელების გზები

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ნანა ფრუიძის ხელმძღვანელობით რუსულიდან თარგმნიან დიმიტრი ლიხაჩოვის სტატიებს.
2. ტექსტოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი მათა არველაძე რედაქტირებას გაუკეთებს მათ თარგმანს და მოამზადებს გამოსაცემად.
3. ტექსტოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი შარლოტა კვანტალიანი თარგმნის და გამოსაცემად მოამზადებს უმბერტო ეკოს წიგნს.

შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი

1. თარგმანების ადეკვატურობა.
2. თარგმანების პუბლიკაცია

მოსალოდნელი შედეგები

ქართველ მკითხველს საშუალება ექნება მშობლიურ ენაზე წაიკითხოს მნიშვნელოვანი უცხოენოვანი ტექსტები.

პროგრამის კოორდინატორი

პროგრამის კოორდინატორია ტექსტოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი ნანა ფრუიძე.